საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№261/3

2019 წელი, 27 მაისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის (წამყვანი კომიტეტი), ევროპასთან ინტეგრაციის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებს, განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების სოფიო კილაძის, რატი იონათამიშვილის, ცოტნე ზურაბიანის, ვანო ზარდიაშვილის, ირაკლი ბერაიას და ანრი ოხანაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/353; 22.05.2019) საქართველოს კანონის პროექტები და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი